

შენიშვნა:

ა) მოცემული ცხრილი წარმოადგენს „საქართველოს ინტეგრირებული ტარიფის“ I დანართის პროექტს და შედგება:

ა.ა) საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურისაგან (შემდგომში – სეს ესნ);

ა.ბ) საქართველოს საგადასახადო კოდექსით დადგენილი იმპორტის გადასახდელების განაკვეთებისაგან ან/და შეღავათებისაგან, რომლებიც გამოიყენება სეს ესნ-ში მოცემული საქონლის მიმართ ;

ა.გ) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი აკრძალვებისა და შეზღუდვებისაგან, რომლებიც გამოიყენება სეს ესნ-ში მოცემული საქონლის მიმართ (საქართველოს საკანონმდებლო ბაზის 25.01.2016-ის მდგომარეობით).

ბ) თუ თერთმეტნიშნა სასაქონლო კოდის გასწვრივ მითითებულია ნებართვა/სერტიფიკატი/აკრძალვა, ეს ცალსახად არ ნიშნავს იმას, რომ არასატარიფო კონტროლს ექვემდებარება ყველა ის საქონელი, რომელიც კლასიფიცირდება ამ სასაქონლო კოდში (გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც თერთმეტნიშნა კოდში კლასიფიცირდება ერთი კონკრეტული დასახელების საქონელი).

დამატებითი შენიშვნები ფიტოსანიტარიული და ვეტერინარული სასაზღვრო-საკარანტინო კონტროლს დაქვემდებარებული საქონლისთვის:

1. ვეტერინარული კონტროლი არ ვრცელდება:

ა) საქართველოში აკრედიტებულ დიპლომატებსა და დიპლომატიური სტატუსის მქონე პირების პირად ნივთებზე, დიპლომატიურ ფოსტასა და საკონსულო ვალიზაზე. თუ არსებობს ინფორმაცია, რომ აღნიშნულ პირთა პირადი ნივთებით გადაიტანება საქონელი, რომელიც შესაძლებელია წარმოადგენდეს რისკს ცხოველთა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობისათვის, მაშინ კონტროლი ხორციელდება მხოლოდ ამავე პირთა ან მათი უფლებამოსილი წარმომადგენლების თანდასწრებით. საკონსულო ვალიზას შემთხვევაში – უფლებამოსილი პირის თანდასწრებით. სა-

კონსულო ვალიზის გახსნაზე საქართველოში აკრედიტებული დიპლომატებისა და დიპლომატიური სტატუსის მქონე პირების ან მათი უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ უარის თქმის შემთხვევაში – იგი უბრუნდება გამომგზავნს;

ბ) საფოსტო გზავნილით, ბარგით ან/და მგზავრის ხელბარგით შემოსატანი საქონლის (რომლის ღირებულება არ აღემატება 500 ლარს) შემდეგ ოდენობებზე:

საქონლის დასახელება	ევროკავშირის ქვეყნები, აშშ, შვეიცარია, ლიხტენშტეინი ნორვეგია	თურქეთი, აზერბაიჯანი, სომხეთი, უკრაინა, რუსეთის ფედერაცია	სხვა ქვეყნები
ხორცის პროდუქტები და რძის პროდუქტები	10 კგ	5 კგ	0
ჩვილ ბავშვთა რძის ფხვნილზე, ჩვილის საკვებსა და სამედიცინო მიზნისთვის გათვალისწინებულ სპეციალურ საკვებზე	გონივრული რაოდენობის ფარგლებში	გონივრული რაოდენობის ფარგლებში	გონივრული რაოდენობის ფარგლებში
თევზი და თევზის პროდუქტები (თევზი და კიბოსნაირნი, მოლუსკები, წყლის სხვა უხერხემლოები და მათი პროდუქტები, გარდა ხიზილალისა)	10 კგ	5 კგ (თევზჭერის შედეგად მოპოვებული 1 თევზის შემთხვევაში, განუსაზღვრელი წონის)	5 კგ
წითელი და შავი ხიზილალა	0,2 კგ	0,2 კგ	0
ცხოველური წარმოშობის სხვა პროდუქტები	10 კგ	5 კგ	2 კგ
ცხოველური წარმოშობის ცხოველთა საკვები	5 კგ	5 კგ	0.
შენიშვნა: ვეტერინარული კონტროლი არ ვრცელდება საქონელზე, რომელიც შემოიტანება (მათ შორის, საფოსტო გზავნილით) ნიმუშის სახით ან/და საგამოფენო მიზნებისათვის, მცირე რაოდენობით და არ არის განკუთვნილი ადამიანის მოხმარებისათვის.			

გ) საქართველოს საგადასახადო კოდექსით განსაზღვრული დაუძლეველი ძალის პირობების დადგომისას, დაუძლეველი ძალის პირობების შედეგების სალიკვიდაციოდ საქონლის გადაადგილებისას.

2. **ფიტოსანიტარიული კონტროლი არ ვრცელდება:** მცენარეებზე, მცენარეულ პროდუქტებზე და სხვა მასალებზე, რომლებიც განკუთვნილია საქართველოში აკრედიტებული დიპლომატებისა და დიპლომატიური სტატუსის მქონე პირების, მათი ადმინისტრაციული პერსონალის, საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებისა და მათი ოჯახის წევრების პირადი მოხმარებისათვის, ასევე, დიპლომატიურ ფოსტასა და საკონსულო ვალიზაზე. თუ

აღნიშნულ პირთა პირად ნივთებში გადაიტანება საკარანტინო ობიექტი, მაშინ, კონტროლი ხორციელდება მხოლოდ ამავე პირთა ან მათი უფლებამოსილი წარმომადგენლების თანდასწრებით. საკონსულო ვალიზის შემთხვევაში, უფლებამოსილი პირის თანდასწრებით. საკონსულო ვალიზის გახსნაზე საქართველოში აკრედიტებული დიპლომატებისა და დიპლომატიური სტატუსის მქონე პირების ან მათი უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ უარის თქმის შემთხვევაში, იგი უბრუნდება გამომგზავნს.

3. ფიტოსანიტარიული სერტიფიკატის ან/და იმპორტის ნებართვის გარეშე დასაშვებია ფიტოსანიტარიულ კონტროლს დაქვემდებარებული შემდეგი საქონლის შემოტანა:

ა) მცენარე და მცენარეული პროდუქტი ნიმუშის სახით, მთლიანი წონით არაუმეტეს 10კგ, გარდა მცენარის თესლისა და მცენარის გასამრავლებელი მასალისა;

ბ) საფოსტო გზავნილით, ბარგით ან/და მგზავრის ხელბარგით შემოტანილი მცენარეები, მცენარეული პროდუქტები და სხვა მასალები (რომლის ღირებულება არ აღემატება 500 ლარს), შემდეგ შემთხვევებში:

ბ.ა) 5 ცალამდე მცენარე, მათ შორის, ხე-მცენარეები და ბუჩქები;

ბ.ბ) 3 კგ- მდე ციტრუსების ნაყოფი;

ბ.გ) 5 კგ- მდე სხვა ახალი ხილი ან ბოსტნეული, ან ორივე ერთად;

ბ.დ) 20 ცალამდე მოჭრილი ყვავილები ან ტოტები, ან ორივე ერთად, ან ერთი თაიგული ან გვირგვინი მოჭრილი ყვავილებისგან, ან ტოტებისგან ან ყვავილებისა და ტოტებისგან ერთად;

ბ.ე) 5 ცალამდე ქოთნის მცენარეები;

ბ.ვ) 2 კგ-მდე ყვავილის ბოლქვები ან ტუბერები ან ორივე ერთად;

ბ.ზ) 5 პაკეტი სათესლე მასალა, თითოეული 5 გრამის ოდენობით;

ბ.თ) 30 კილოგრამამდე გამხმარი და გამომშრალი მცენარეული წარმოშობის პროდუქტები;

გ) საქართველოს საგადასახადო კოდექსით განსაზღვრული დაუძლეველი ძალის პირობების დადგომისას, დაუძლეველი ძალის პირობების შედეგების სალიკვიდაციო ფიტოსანიტარიულ კონტროლს დაქვემდებარებული საქონელი.

4. ფიტოსანიტარიული სერტიფიკატი/რეექსპორტის ფიტოსანიტარიული სერტიფიკატი არ მოითხოვება:

ა) საქართველოდან მსუბუქი, სატვირთო-სამგზავრო ავტომობილით, ავტობუსით, საფოსტო გზავნილით, ბარგით ან/და მგზავრის ხელბარგით გასატან საქონელზე;

ბ) თავისუფალ ინდუსტრიულ ზონაში ექსპორტის სასაქონლო ოპერაციით შესატან საქონელზე.

5. ფიტოსანიტარიული სერტიფიკატის ან/და, საჭიროების შემთხვევაში, იმპორტის ნებართვის გარეშე აკრძალულია საფოსტო გზავნილით, ბარგით ან/და მგზავრის ხელბარგით ფიტოსანიტარიულ კონტროლს დაქვემდებარებული შემდეგი საქონლის შემოტანა:

ა) ბაქტერიული სიდამწვრის (*Erwinia amylovora*) შემდეგი მასპინძელი მცენარეები და მათი მტკერი: ყვავილემალა (*Amelanchier* Med.), იაპონური კომში (*Chaenomeles* Lindl.), ვაშლანა (*Cotoneaster* Ehrh.), კუნელი (*Crataegus* L.), კომში (*Cydonia* Mill.), იაპონური ზღმარტლი (*Eriobotrya* Lindl), ვაშლი (*Malus* Mill.), ზღმარტლი (*Mespilus* L.), ჩიტავაშლა (*Pyracantha* Roem.), მსხალი (*Pyrus* L.), თამელი (*Sorbus* L.), ფოტინია დავიდსონის (*Photinia davidiana* (Dcne.);

ბ) სასურსათო და სათესლე კარტოფილი;

გ) მოჭრილი ყვავილები და ქოთნის მცენარეები: ქრიზანთემა (*Dendranthema* (DC.) DesMoul), მიხაკი (*Dianthus* L.) და ჯადვარისებრნი (*Orchidaceae*);

დ) მცენარეები ციტრუსის გვარიდან (*Citrus* L.) და მათი ჰიბრიდები: კინკანი (*Fortunella Swingle*), სამყურა ლიმონი (*Poncirus Raf.*) და ვაზი (*Vitis* L.).